დანართი 1.

უცხოეთის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის დროს დაგროვილი კრედიტების აღიარების წესი

1. თსუ-ს გაცვლითი პროგრამების მონაწილე, უცხოეთის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სასწავლებლად მყოფი და უცხოეთის აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან მობილობის წესით გადმოსული სტუდენტი (შემდგომში: სტუდენტი) განცხადებით მიმართავს უნივერსიტეტის რექტორს სტუდენტის სტატუსის აღდგენის/მოპოვების და უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში დაგროვილი კრედიტების აღიარების მოთხოვნით.

2. სტუდენტის განცხადებაში უნდა მიეთითოს: უცხოური უნივერსიტეტის დასახელება, ფაკულტეტი, სპეციალობა (შესაბამისი საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო პროგრამა), სწავლის პერიოდი, გავლილი სასწავლო კურსები (მოდულები), მიღებული შეფასებები, მინიჭებული კრედიტები (მათი არსებობის შემთხვევაში), ან სასწავლო კურსების მოცულობა (საკონტაქტო საათების რაოდენობა).

3. სტუდენტის განცხადებას თან უნდა ერთვოდეს საზღვარგარეთ სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტაციის ნოტარიულად დამოწმებული ასლები და მათი ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი.

4. უნივერსიტეტის რექტორის სახელზე განაცხადის გაკეთების პარალელურად, სტუდენტმა უნდა მიმართოს სსიპ განათლების აკრედიტაციის ეროვნულ ცენტრს საზღვარგარეთ სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტაციის ავთენტურობის დადგენის მოთხოვნით (ინფორმაციისთვის იხ.: www.nea.ge).

5. საზღვარგარეთ სწავლის დროს დაგროვილი კრედიტების აღიარება შესაძლებელია მოხდეს დოკუმენტაციის ავთენტურობის თაობაზე სსიპ განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის დასკვნის წარმოდგენამდე, მაგრამ სტუდენტს არ მიენიჭება შესაბამისი აკადემიური ხარისხი, საზღვარგარეთ სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტაციის ავთენტურობის დადგენამდე.

6. იმ შემთხვევაში, თუ საზღვარგარეთ სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტაციის ავთენტურობა არ დადასტურდა, სტუდენტს გაუუქმდება აღიარებული კრედიტები, ფაკულტეტის წარდგინების საფუძველზე უნივერსიტეტის რექტორის სპეციალური ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

7. იმ უნივერსიტეტმა, რომელიც არის ბოლონიის პროცესის წევრი, უნდა უზრუნველყოს სტუდენტთან ე. წ. სასწავლო ხელშეკრულების (learning agreement) გაფორმება და სწავლის დასრულების შემდეგ მისთვის ე. წ. ნიშნების ფურცლის (transcript of records) გაცემა ბოლონიის პროცესის ფარგლებში შემუშავებული სპეციალური ფორმების შესაბამისად. ბოლონიის პროცესის მონაწილე უნივერსიტეტში სწავლის შემთხვევაში სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს სასწავლო ხელშეკრულება და ნიშნების ფურცელი, სადაც მითითებული უნდა იყოს სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსების / მოდულების სახელწოდება, კრედიტების რაოდენობა და სტუდენტის მიერ მიღებული შეფასება.

8. იმ შემთხვევაში, თუ უცხოური უნივერსიტეტი ვერ უზრუნველყოფს სტუდენტს სასწავლო ხელშეკრულებითა და ნიშნების ფურცლით, მაშინ სტუდენტს უნდა მიეცეს შესაბამისი პასუხისმგებელი სტრუქტურის და პასუხისმგებელი პირის მიერ დამოწმებული ოფიციალური დოკუმენტი, რომელშიც მითითებული იქნება: სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსების / მოდულების სახელწოდება, მათი ECTS კრედიტებისა და სტუდენტის მიერ მიღებული შეფასების მითითებით.

9. თუ უცხოური უნივერსიტეტი იყენებს არა ECTS კრედიტებს, არამედ განსხვავებულ საკრედიტო სისტემას, მაშინ სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს ოფიციალური დოკუმენტი უცხოური უნივერსიტეტიდან, რომელშიც მითითებული იქნება ამ სისტემის შესაბამისობა საერთო ევროპულ ECTS კრედიტების სისტემასთან.

10. თუ უცხოურ უნივერსიტეტს არ გააჩნია საკრედიტო სისტემა, მაშინ სტუდენტის ნიშნების ფურცელში (სასწავლო ბარათში, ან სწავლის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტში) მითითებული უნდა იყოს თითოეული სასწავლო კურსის / მოდულის მოცულობა (რამდენი კვირა ისწავლა სტუდენტმა ეს სასწავლო კურსი / მოდული და კვირაში რამდენი საკონტაქტო საათი ეთმობოდა მას). აღნიშნული კურსებისთვის კრედიტების მინიჭება ხდება პირობითად, შემდეგი სისტემის მიხედვით: თითოეული სასწავლო კურსის საკონტაქტო საათებს ემატება დამოუკიდებელი მუშაობის საათები (საკონტაქტო საათების გამრავლებით შესაბამის კოეფიციენტზე (მაგალითად, 2-ზე ან სხვა ციფრზე) სასწავლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით), ხოლო საათების მიღებული რაოდენობა იყოფა 25-ზე, ანუ 1 კრედიტის საათების რაოდენობაზე. ხდება აღნიშნული წესით დაანგარიშებული არამთელი კრედიტების დამრგვალება.

11. იმ შემთხვევაში თუ უცხოური უნივერსიტეტი იყენებს შეფასების არა 100-ქულიან, არამედ განსხვავებულ სისტემას, მაშინ სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს ოფიციალური დოკუმენტი უცხოური უნივერსიტეტიდან, რომელშიც განმარტებული იქნება შეფასების ეს სისტემა და მისი შესაბამისობა შეფასების 100 ქულიან სისტემასთან.

12. იმ შემთხვევაში, თუ უცხოური უნივერსიტეტი ვერ უზრუნველყოფს თსუ-ს გაცვლითი პროგრამის მონაწილე სტუდენტის სრულ სემესტრულ მომსახურებას და სტუდენტი მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ აბარებს საბოლოო გამოცდებს და მას ვერ ენიჭება კრედიტები, მაშინ სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს ოფიციალური დოკუმენტი უცხოური უნივერსიტეტიდან, სადაც მითითებული იქნება მის მიერ გავლილი სასწავლო კურსების მოცულობა (რამდენი კვირა ისწავლა

სტუდენტმა ეს სასწავლო კურსი და კვირაში რამდენი საკონტაქტო საათი ეთმობოდა მას) და სტუდენტის შუალედური შეფასებები. საბოლოო გამოცდას სტუდენტი აბარებს საკუთარ ფაკულტეტზე, აღნიშნულ კურსთან თავსებად საგანში.

13. თსუ-ს გაცვლითი პროგრამის მონაწილე სტუდენტის მიერ უცხოეთის უნივერსიტეტში გასავლელი სასწავლო კურსები წინასწარ უნდა იყოს შეთანხმებული შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან (კოორდინატორთან).

14. თსუ-ს გაცვლითი პროგრამის კოორდინატორი და ECTS ინსტიტუციური კოორდინატორი გაცვლითი პროგრამის მონაწილე სტუდენტის სასწავლო ხელშეკრულებას ხელმოწერით ადასტურებენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენილია შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის (კოორდინატორის) წერილობითი დასკვნა უცხოეთის უნივერსიტეტში გასავლელი სასწავლო კურსების თსუ-ს შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადობის თაობაზე.

15. უცხოეთის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში დროებით სასწავლებლად წასული სტუდენტის მიერ უცხოეთის უნივერსიტეტში გასავლელი სასწავლო კურსები სასურველია წინასწარ იყოს შეთანხმებული შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან (კოორდინატორთან), კრედიტების აღიარებასთან დაკავშირებული პრობლემების თავიდან აცილების მიზნით.

16. უცხოეთის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის დროს დაგროვილი კრედიტების აღიარება ხდება "ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტთა მობილობის ფარგლებში გადმოსვლის მსურველ და/ან გადმოსულ, აღდგენილ სტუდენტთა კრედიტების აღიარების წესის" შესაბამისად.

17. გამონაკლისის სახით, სტუდენტის მიერ უცხოურ უნივერსიტეტში მიღებული ე. წ. "არადიფერენცირებული ჩათვლა" შეიძლება აღიარებულ იქნას კრედიტების აღიარების საფაკულტეტო კომისიის მიერ იმ შემთხვევაში, თუ დასტურდება, რომ უცხოურ უნივერსიტეტს აღნიშნულ სასწავლო კურსში დიფერენცირებული (ქულობრივი) შეფასება არ გააჩნია. ამ შემთხვევაში ე. წ. "არადიფერენცირებულ ჩათვლას" ქულა ენიჭება პირობითად: სტუდენტის მიერ ყველა საგანში მიღებული ქულების საშუალო არითმეტიკული (მთელ რიცხვამდე დამრგვალებული).

18. გამონაკლისის სახით, კრედიტების აღიარების საფაკულტეტო კომისიის მიერ შეიძლება აღიარებულ იქნას სტუდენტის მიერ უცხოურ უნივერსიტეტში გავლილი ისეთი სასწავლო კურსი, რომელსაც არ ითვალისწინებს თსუ-ს კურიკულუმი, მაგრამ რომელიც მისი მიზნებიდან და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია სტუდენტის სამომავლო კვალიფიკაციისა და პროფესიული განვითარებისათვის.